

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის (სლოვია) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სალში № 33.

სანტორა რედაქციის: იქვე, ხედაც იმყოფება რედაქცია.

ბელის-მომწერა მიიღება კანტონ-ში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Дროаба“.

ბაზეთის ფასი: მთელის წლი-ს—8 მან., 6 ხვეარ წლისა—5 მან., სა-მს თვის—3 მან., ერთთისთვის—1 მან.

ყოველ დღე ორჯერად გარდა

ფრომეტი

ცალკე ნომერი ღირს შაშრათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს, სპანურს, ფრანგულს.

ფასი განცხადებების: ქვეყნის კბით ასობზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ცტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულ ბრივის ცი-ცვროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გა-სწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდე-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

გომავალი წლის პირველი ნომერი „დროებას“ გამოვა ოთხჯერად, მას იანვარს.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 28 დეკემბერს. მურთები კიდევ ავიწროებენ, ხოცვენ და სტარ-ცვენ მცირე აზიაში სომხებს, თუმცა სომხის პატრიარქმა რამდენჯერმე ით-ხოვა, რომ შეაჩერონ ისინი. პატრიარქმა წარუდგინა ოსმალიეთის მთავრობას სამ-სახურადამ დათხოვნის ქალაღი.

კაბუღუბანი, 29 დეკემბერს. პროფეს-სორის ბოტკინისა და ზღვკაუერის სიტ-ყუით, ის ავითმყოფობა, რომელიც ას-ტრახანში გაჩენილა, შავი ჭირი (ქამი) ყოფილა.

ტაშკენტი, 28 დეკემბერს. ავღანის ში-რი და რუსის ღენერალი რაზგონოვი გამოვიდნენ მახუდლი-შერიფში. შირმა თავის მოადგილეთ თავის შვილი იაკუბ-ხანი დასტოვა ავღანში.

კაბუღუბანის ბირჟა, 29 დეკემბერს. (ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი) ბანკის ბილეთები: 85. კაპ. პირველი გამოცემის — 95—50

გომავალ 1879 წელს ბაზეთი

„დროება“

ბამოვა მულამ დღე და იმავე მიმართუ-ლებითა და პროგრამით, როგორც აქამ-დინ გამოდიოდა.

ბელის-მომწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესსით უნდა დაიბარონ: ВЪ Типо-граф. ВЪ редакцію газетъ „Дроаба“.

ბაზეთის ფასი

- მთელის წლისა — — 8 მან.
- ქვესის თვისა — — 5 მან.
- სამის თვისა — — 3 "
- ერთის თვისა — — 1 "

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება გა-ზეთის დაბარება.

შული გაზეთის დაბარების-თანავე უნ-და იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

ფელტონი

მასლაათი

ძველი წლის გასტუმრება, ახლის დად-გომა. — დაუჩქარეთ ანგარიშის გაწმენდა. — მისა აქვს სუფთა სინიღისი? — მორწილე-ბი. — დაქორწინება „თფილისის მოამბო-სა“ და „მბზორისა“. — დამატება ნიკო-ლაძის ქარაქტერისტიკისა. — შედარება. — ღმერთო, აგვაშორე!

ერთი წელიწადი მოვიშორეთ თა-ვიდამ! მივაბარეთ არხივში „ქამთ-მეის-ტერსა“!

მივაბარეთ თავის ავლა-დიდებით, თა-ვის სიკეთითა და ბოროტით, თავის სი-ნარულთითა და ღარღით, თავის სიკბოვითა და სიმწარით, თავის ცრემლითა და სიცილით, თავის დაპრანჭული პირის-სახითა და ჩამტვრეული კბილებით, თა-ვის არ-შეუსრულებელი იმედებითა!..

მაგიერად თვალ-წინ გვიდგას ახალ-კაზდა, ცოცხალი, ცხოველი ახალ-წე-ლიწადი! ახალ-წელიწადი თავის ტკბილი უფეშითა და იმედებითა, თავის მომ-

ღიმარე ღამაზის პირის-სახითა, თავის გულ-გაშლილობითა, სხივ-შემოსილი, ბრწყინვალე, მშვენიერი!

ღმერთო ჩემო, რა ფაცა-ფუცია, რა მოძრაობაა, რა ჩოთქის კამათლების გა-ცხარებული გასროლ-გამოსროლაა! მი-თქოს ყველას ემინიან, რომ ამ ახალ-გაზდა. ბრწყინვალე წელიწადმა არ მოუს-წროს იმათ ამ უწმინდურ საქმეზე, ამ უწმინდურ ანგარიშების გაწმენდაზე, ამ შარშანდელი შემოსავალ-გასავლის ჯა-მის გამოყვანაზე, — და ერქარებიან.

მჩქარებიან დღესვე, შუალამედინ, როდესაც ის ახალი პატარძალი ამო-ბრწყინდება, გაათავონ ეს თავის უწმინ-დური ანგარიშები, ჭუჭყიანი საქმეები და მერე პირ-ნათლად შეეყარონ იმ პატარ-ძალს!..

დაეჩქარეთ, დაეჩქარეთ! მაგვარ საქ-მეებს სინათლე და მზის სხივი, უმან-კობა არ უყვარს... დაეჩქარეთ, თორემ შემდეგის წლისათვის ერთობ ბევრი მო-გატროვდებათ გასაწმენდი, გასასუფთავე-ბელი... —

ნეტავი, ფანრით რომ მოვსძებნოთ, თუ ვიპოვოთ ჩვენში იმისთანა კაცი,

მეორე	— — — —	94—50
მესამე	— — — —	94—50
მეოთხე	— — — —	94—75
აღმოსავლეთის პირ.	— — — —	93—50
აღმოსავლეთის მეორე	— — — —	91—75
ოქრო, 1/2 იმპერიული	— — — —	8—35
თფილ. თავად-აზნ. ბანკის	— — — —	— — —
გირაოს ფურცელი	— — — —	— — —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	— — — —	მან. ძაპ.
პარველი სესხის	— — — —	234—50
მეორე სესხის	— — — —	233—50
1 მანეთი ღირს:	— — — —	— — —
ლონდონი	— — — —	23—62 პენსი
ამსტერდამი	— — — —	116—50 ცენტი
ბერლინი	— — — —	201—50 ჰფენიგი
პარიჟი	— — — —	249— „ სანტიმი
ძავეკასის კერასინი	— — — —	— — —

საქართველო

გავლილი წელიწადი

ღიღი ხანია, ძალიან ღიღი ხანია სა-ქართველოს არ გამოუყვლია იმისთანა შფოთიანი და გაჭირების წელიწადი, რო-

რომელსაც თავის სინიღისის წინაშე შეეძლოს გულ-წრფელად თქმა ამ სი-ტყვებისა:

— მს წელიწადი მე ისე გავატარე, როგორც კაცურ კაცს ეკადრება!

თქვენ გგონიათ, მე ვიტყვი: არა, არ მოიპოვებო? სულაც არა; პირ-იქით მე დარწმუნებული ვარ, რომ მომეტე-ბული ნაწილი, — რას ვამბობ მომეტე-ბული ნაწილიო? — თითქმის ყველა იმას იტყვის, რომ ეს წარმავალი წელიწადი მე კარგათ, რიგინად, სინიღისიანათ გა-ვატარეო!

მაჭარი, რომელმანც ამ წლის დამ-დეგს ხუთი მანეთი ასესხა გლეხს და წლის ბოლოს სარგებლითა და „ნეუს-ტოიკებით“ ოც-და-ხუთი მანეთი ვადა-ახდევინა ამ ვალში, — მოსამართლე, რო-მელმანც თავის კერძო მტერობით, ანუ უმეტრებით რამდენიმე უმანკო კაცს ციმბირის გზა უჩვენა, — ჩინოვნიკი, რო-მელიც მთელი წლის განმავლობაში ქრთამის აღებისა და თავის უფროსის წინ წელის მოღრეკის მეტს არაფერს აკეთებდა, — სოფლის მებატონე, რომე-ლიც დიდიდამ საღამომდინ მხარ-თემო-ზე წამოწოლილი იყო და გლეხებს კი

გორიც ეს ორი უკანასკნელი წელიწადი იყო იმისთვის.

მრის მართი მოადგა მტერი; ორის მხრით ემუქრებოდნენ იმას თავს-დასხმასა და აკლებას. რაც ჩვენში ახალგაზდა, მხნე ხალხი იყო, ყველანი ბრძოლის ველზე გავიდნენ. შველას მუხთარფაშა და ღერვიშ-ფაშა ჩივენებოდა.

ბოლოს თითქო მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ამ მიშველი წლის პირველ რიცხვებში რუსეთმა და მსმალეთმა შეჰკრეს მორიგების პირობა.

მაგრამ ეს მშვიდობიანობა მართლა რომ თითქო-მშვიდობიანობა იყო და არა ნამდვილი, მკვიდრი მშვიდობიანობა. მართის მხრით მეროპაში, ბერლინის ძონგრესის დროსაც, თითქმის ყველანი მოვლოდნენ ახალი ომის, უარესი ბრძოლის ატებას. მერეს მხრით ჩვენში ამ ცრუ-მშვიდობიანობის დროს აღმოჩნდნენ ნაყოფი და შედეგნი გოვლილის ომისა: საშინელი სიძვირე ყველაფრისა და ადამიანისა და პირუტყვის სნეულება და გაქვებუა. შველას უფრო მომეტებული აქაც, რასაკვირველია, როგორც ყოველთვის და ყოველგან, უბედურ ჩვენს გლესს გადაწყდა. ბლენს ოჯახს აკოლა ორგვარი მშრომელი: აკლდა კაცის ხელი და პირუტყვი.

მაგიერად თითო-ორიოლა ჩვენშიაც გამიღრდნენ ამ ომისაგან, ისე გამიღრდნენ, რომ, როცა ომი გათავდა, ძალიან ეწყინათ. ამ გვარის ხალხისათვის ხალხის უბედურება და გაჭირება შარშანდელი თოვლია, — ოღონდ თვითონ იყვნენ ნეტარებაში და ხალხს თუნდ გაჭირებით სული ამოსდიოდეს, თუნდ შიმშილისაგან კუჭი ეწოდეს, — ისინი ამას რას დასდევენ..

წლევანდელმა კარგმა მოსაყალმა, ღვთის მადლით, ცოტა არ იყოს ჩვენს

ხალხს სული მოუბრუნა...

მაგრამ ყველაზე სასიამოვნო და სულის მომბრუნებელი მოვლენა გავლილ წელში ჩვენთვის ის იყო, რომ ამ წელს ჩვენ შეგვეძინა ძველათგან მოშორებული, უბედურ ისტორიულ გარემოებათა წყალობით ჩვენგან გაყრილი ძმები — მსმალოს ქართველები.

ამ გარემოებამ ერთ დროს ჩვენ დავავიწყა ყველა უბედურება, ყველა ახალი და ძველი გაჭირება, რაღაც იმედი მოგვცა, ნუგეში მოგვავლინა.

საუბედუროთ, ეს სიხარული და ნუგეში ხანგრძლივი არ იყო. ჯერ-ჯერობით ამ ახლად-შემოვრთებულ საქართველოში საქმეები ისე ცუდად მიდის, რომ, თუ შემდეგშიაც ასე წაიდა, სიკეთეს არაფერს მოველით. ჯერ ჩვენ ვერ მოვაწონეთ იმათ ჩვენი თავი, ვერ მოვაგონეთ ჩვენი ძველი ძმობა... ისმის, და ისმის ერთობ ხშირად, რომ ისინი, ის ნაპოვნი ძმები ახლაც მოშორებას, გაყრას, ვაცლას გვიბიობებენო. ამბობენო, რომ აქ, ამ ხალხთან, ჩვენ ვერ მოვთავსდებით, მსმალეთში უნდა წავიდეთო.

ძალიან სამწუხარო მოვლენა იქმნება ეს ჩვენი საზოგადო ცხოვრებისათვის; ძალიან ცუდი ბოლო ექნება ამას შემდეგში ჩვენთვის, და ამიტომ ხშირად გვითქვამს და ახლაც ვამბობთ: ყოველი ნამდვილი ქართველი სულითა და გულით მონდომებული უნდა იყოს, ყველა იმას უნდა ცდილობდეს, საქმიანად და სიტყვიანად, რითაც კი შეუძლიან, რომ ეს ჩვენი ძმები ხელ-ახლად არ დაგვეკარგონ, არ მოგვეშორდნენ...

სხვა საზოგადო მოვლენათა შორის, წელს მოხდა ერთი ამბავი, რომელიც ნამდვილ ყურადღების ღირსია:

წელს მთელიისის სასოფლო შკოლე-

ბის მასწავლებელთა კრებაზე დამტკიცდა და მკვიდრად დადგენილი შეიქმნა ის ჰაზრი, რომელიც სხვაგან მართალია, დიდი ხანია დამტკიცებულია და მკვიდრათაც დადგენილი, მაგრამ ჩვენში კი არ აღიარებდნენ: ის ჰაზრი, რომ სწავლა სამშობლო ენაზედ უნდა ყმაწვილსაო. ეს გადაწყდა და ამ გადაწყვეტილების თანახმად მთელიისის გუბერნიის სასოფლო შკოლეებში სწავლა ამ ქამდ ყველგან ქართულს ენაზედ არის; რაღა თქმა უნდა, რომ ამავე კვალს დადგებიან მუთაისის გუბერნიის სასოფლო შკოლეებშიცა...

არის კიდევ ერთი საზოგადო მოვლენა, რომელსაც მუდამ წელიწადს სიამოვნებით აღვნიშნავთ ხოლმე ჩვენს მატთანში: ჩვენი მწიგნობრობისა და ლიტერატურის თან-და-თან გაცხოველება, გაძლიერება. ამ მხრით ცოტა იმედი გვეძლევა ჩვენი მომავლისა. ეს მუდამ წელს თან-და-თან წარმატება ჩვენის მწიგნობრობისა, ეს საზოგადოებაში კითხვისა, გონების გაღსნისა და ტვინის შემუშავების სურვილი და ხალხის კარგი, საიმედო ნიშანია ჩვენის საზოგადოების გაღვიძებისა.

ღიან, უეჭველია, ჩვენ ელვობთ იმ ღრმა ძილისაგან, რომელშიაც კარგა ხანია ჩავარდნილი ვიყავით; ვღვიძებთ და სარკეში ჩახედვას ვცდილობთ, ვცდილობთ დავენახოთ ჩვენი თავი — თუ რა ვართ და ვინა ვართ!

და ეს გვანუგეშებს ჩვენ, გვანუგეშებს იმიტომ, რომ ვიცით — ხალხის გასწორება, მარჯვე გზაზე დადგომა და წარმატება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ის თავის თავზე, თავის ბელზე, თავის მდგომარეობაზე დაფიქრებას და დაკვირვებას დაიწყებს, როდესაც ის ლიტერატურის, როგორც სარკის, საშუ-

სულს აძრობდა, გადასახადი მალე მომიტანეთო, — მასწავლებელი, რომელიც მთქნარებით შედიოდა კლასში და თავის შავირდებიცა და თავის მასწავლებელი საგანიც ჭამივით ეზიზღებოდა, — ყველა, ერთის სიტყვით, დარწმუნებული და დაჯერებულია, რომ ბეჯითად, სინილისიანთ და პატიოსნად გაატარა ეს წელიწადი.

მთ ასე არ იყოს, თუ ჩვენ მართლა რიგიანი სინილისი გვექონდეს და ეს სინილისი გვაძვირებდეს, განა მაშინ რიგიანი კაცობას, ხეირიანი საქმეების გაკეთებას არ ვეცდებოდით? მანა მაშინ ბოროტის თავიდან აცილებასა და სიკეთის ჩადენას არ ვეცდებოდით და არ მოვიინდომებდით?! ხანდისხან, მართალია, როგორც სოფლის ღედაკაცის კალთაში გახვეული ქათამი, გამოიჭყიტება ხოლმე ეს სინილისი; მაგრამ ჩვენ იმწამსვე მაგრად დავახურავთ კალთას, ძირს ჩავაყოფინებთ თავსა, — და ამ ნაირად არის მიყუჩული, მიძინებული; ის თავისთვის და ჩვენ ჩვენთვის, ჩვენ შორის კავშირი არ არსობს!..

მაგრამ რა დროს ამებზე ლაპარაკია ახლა, ამ ახალ-წლის მოლოდინში, ამ დღესასწაულებში! ამგვარის ქადაგებით განა ჩვენ უპატიოსნოს გავაპატიოსნებთ? მანა უსინილისოს სინილისს ჩაუღვამთ და ბაიუშს გავაარწივებთ?! ჩვენზე უკეთესს „ბუღბუღებს“ უმღერნიათ ამ კილოზე, მაგრამ ვერა გამხდარან-რა...

დავიწყეთ მამ უფრო სამხიარულო საგნებზე ლაპარაკი.

მოგესხნებათ, რომ ახლა ქორწილობის ჭამია, ახალი ცოლ-ქმრობისა, ახალ ბედისა, ახალ ცხოვრების დაწყებისა. შველა, ვისაც კი ბედმა გაუღიმა და საქმრო იშოვნა, საქორწილოთ ემზადება. ეს არაფერია, ამაში მაინცა-და-მაინც შესანიშნავი არა არის-რა, რადგან ამისთანა ქორწილები მუდამ წელიწადს ხდება.

მაგრამ ამ დღეებში კინაღამ ისეთი დაქორწილება არ მოხდა, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააკვირვებდა, რომლის მსგავსი ქორწილება ჩვენში არც გვინახავს და არც გავგიგონია ჯერ.

— რა ქორწინებაა ამისთანა ქორწინება? მკითხავთ.

ეს გახლავთ ორი ჩვენებური გაზეთის — „მთელიისის მოამბისა“ და „მზზზორის“ დაქორწინება!

მრი დაუძინებელი მტრის, ორი მოწინააღმდეგის, ორი ი.ეთი მტრის დაქორწინება, როგორც ძალი და კატა.

ბოროტი ენები ამბობენ, ყითომც ამ გაზეთებს ცალ-ცალკე ცხოვრობა გაუჭირდათო, ხელის-მომწერლების განაწილებით ხეირი ვერ ნახესო და ამის გამო გადაწყვიტეს შეერთება, ერთად ჩადება ხელში ყველა მკითხველებისაო. ამბობენ, ზოგიერთებმა ბევრი ოინები დახარჯეს, ბევრი ჭახრაკები დაატრიალეს, რომ ეს შეერთება მოეხდინათო, რომ ორივე ერთს საბანში გამოეხეიათო...

მაგრამ ვერ მოთავსდა საქმე! „მთელიისის მოამბის“ აქციონერები და თანამშრომელები წინააღმდეგნი გამხდარან. მის დააკლდება, რომ ეს ქორწინება არ მოხდა?

მრევს: „მთ. მოამბესაც“ და „მზზზორსაც“, უფრო „მზზზორს“.

მის იამება ეს? მისთვის იქნება სასარგებლო?

ამ პატარა გამოცანის გამოცნობა

ებით დარწმუნდება, რომ ქუჩის აცხია
ამ ქუჩის მოხრცვა, მობანა იჭირება...

ბ. მ.

ჩვენი წარმომადგენლები

ჩვენ ზედმიწევნით გვექონდა წარმოდ-
გნილი ამ წუთას გულის წადილი ქუ-
თისის ქალაქის წარმომადგენლებისა,
რდესაც ვაზეთმა „დროებამ“ აღიარა
წოყენებულ კანდიდატებს შორის უ.
სათიანის უპირატესობა, როგორც
ქალაქის ქუთაისის წარმომადგენელი და
ის თავი.

ბარემოებამაც ცხადათ დაამტკიცა,
რომ „დროება“ არ სცდებოდა. იმისი
პი უ. ს. სათიანზე გამართლდა. ქუ-
თისის ქალაქის წარმომადგენლებმა ამო-
იჩიეს ქალაქის თავათ ს. სათიანი.
როდესაც „დროებამ“ მოსაზრებით
გოაცხადა ს. სათიანის უპირატესობა
ქუთაისის ქალაქის თავობაზე, იმას ძა-
რან კარგათ ჰქონდა წარმოდგენილი
ვალ წინ ამ კაცის ღირსება. ს. სა-
თიანმა თავისი წარსულის ცხოვრებით
ელას დაუმტკიცა, რომ ის არის დაუ-
ხლავი მშრომელი, თავის მოვალეო-
ბა პატიოსნათ ამსრულებელი და სა-
ოგადო საქმისა გულ მემატკივარი. ა-
ნ თავის წარსული ცხოვრებით დაგ-
არწმუნა, რომ, თუ კაცი მხნე და პა-
იოსინი სახელის მემიებელია, იმას ბე-
ვი შეუძლია ცხოვრებაში; იმის წინ
ცხოვრების გზა გაკვეთილია საუკეთესო
იზნის მ-საწვევლად.

უ. ს. სათიანს არ მიუღია არც მა-
ალი სწავლა და არც მაღალი პრინცი-
ები: მაგრამ იმისთვის მიუცია ბუნებას
არგი გონება და კეთილი ზნე. ამ ორი
ვისებით აღჭურვილს ს. სათიანს უშ-
ომია მუდამ ცხოვრებაში კაცური სა-

ენთვის მომინდვია, ჩემო ქართველო
კითხველო!

„მზობრზე“ ჩამოვარდა სიტყვა... მარ-
ალია, წინანდელ „მასლაათში“ აღვით-
ვით, რომ ეს, მგონია, უკანასკნელი
იტყვა იქნება ჩვენი ამ წელს „მზობრ-
ედ“ და უ. ნიკოლაძეზედ-მეთქი. მაგ-
ამ, როცა კაცს ნიკოლაძესთან საქმე
აქვს, ვანა შეიძლება თავის სიტყვა შე-
რულოს, ან ერთს რასმე გაკვალუოს
ზას დაადგეს? ვერცხლის-წყალივით და-
ურავს, და შენც ძალა-უნებურად ტყუ-
ლის მთქმელს ტყუილის კარამდინ უნ-
ა მისლიო.“

აი ახლაც. მგონია, ცხადათ, გარკვე-
თ დაუმტკიცეთ იმას, რომ იმის თარ-
ანი ცუდი და შულღერული თარგმა-
იყო. საკვირველება ეს არის, რომ
ვითონაც კი გატყდა, (მომეტებულს
წილში მაინცა), რომ მართალია, ხეი-
ანად არ ყოფილა ნათარგმნიო.

—მაშ მეტი რაღა გინდათო? მკითხავს
ითხველი. მე? მე სრულიად არაფერი!
გრამ ახლა ერთი უფ. ნიკოლაძეს ჰკით-
თ—იმას რა უნდა?
ძირს დადებული კატა დადგა ფეხზე,

ხელისათვის და ამის გამო ამ ქამად ის
აღმოჩნდა ბევრი ჩვენი ახალგაზდობის
წინ, რომელთაც თუმცა მიუღიათ მაღალი
უნევერსალური სწავლა და ბევრი სა-
უკეთესო პრინციპებიც გაუცვნიან, მაგ-
რამ მათი გული, მათი ტვინი მაინც
დახშულა კერძო, პირადი მეძიებლობის
ვარჯიშობაში.

აქ ერთხელ კიდევ დამტკიცდა ის სა-
კვეყნო აზრი, რომ კაცს შეიქს კაცად
მისი კეთილი ზნე და საზოგადოების გუ-
ლისთვის მემსხვერპლეობა. თუ ეს თავ-
განწირულებების ჯიჯარი და სახელის ძი-
ება კაცს ან აღზრდით, ან ბუნებით შე-
თვისებული არა აქვს, რაც უნდა ბევრი
განათლება მიიღოს, რაც უნდა ბევრი
ეწვალოს თავის გამოჩენისათვის, ბოლოს
მაინც რომ არ ჩამოვარდეს აკოლიკებულ
ოზაფხებიდან, არ დაიძსხვრეს და კვას
ლის დაუჩნევლად არ წაიხილოს იმი-
სენებას, შეუძლებელია.

ჩვენ ვიცით, რომ უ. ს. სათიანი
მშრომელი კაცია, ჩვენ ვიცით, რომ ის
ტაქტის კაცია და მთავრობასთანაც რი-
გიანად დაიჭერს თავის საქმეს; ბოლოს
ჩვენ ვსეც ვიცით, რომ ის ამ ორის
ღირებით აღჭურვილი მალე გამოაბ-
რუნებს დახლართულ ქუთაისის საქა-
ლაქო გამგეობის საქმეებს და ეს ჩვენ
წინათვე გვიხარია.

მაგრამ ჩვენ იმას ჯერ არ ვიცნობთ,
როგორც მაგარს კაცს, რომ სარგებ-
ლობა და საჭიროება ყოველ ნაირ ქარ-
ცეხლის და მეწყერის წინააღმდეგ, რო-
გორც შეურყეველი ბურჯი, ისე დაიც-
ვას თავის ქალაქის წარმომადგენლების
გარს შემოსხმით და იმათ ერთგულებაზე
გულ დამყარებით. ჩვენ გვინდა ამ დროს
და ამ გარემოებაში ფხიანი კაცი, თავ
აღებული, რომ თვალ გამაგრებით უც-
ქროდეს ყოველ დაბრკოლებას, რაც კი

„ააზიკა“ კუდი კუდაზიკამ და შემოგე-
ქნავის:

—ზინდა დაკიმტკიცო, რომ შენ ფექ-
რი არ იცი? თუ გინდა გამობრძანდი ასა-
რეზხედ, შეეცაბასთ ერთმანეთს და შენი
სისუსტე დაემატკიცო?

როგორ სასაცილო არ არის ეს? რო-
გორ გასაკვირველი არ არის, რომ უფ.
ნიკოლაძემ, რომელიც ყველას ლიტე-
რატურის წესისა და ჩვეულების დარი-
გებას აძლევს, არ იცის ის, რომ ჩვენ
დიდი ხანია ასპარეზზედა ვართ გამოსუ-
ლი, დიდი ხანია საქვეყნოთ ვლაპარა-
კობთ და მაშა სადამე, არათუ უ. ნიკო-
ლაძეს, ყველას, ვინც უნდა იყოს, სრუ-
ლი უფლება აქვს, რომ გვამხილოს ჩე-
ნი ყოველ გვარი ნაკლულევალება, ჩე-
ნი სისუსტე, ჩვენი შეცოდება და სხვა
ყველა ფერი, რაც საქვეყნოთ გამოჩენი-
ლია? მასაკვირველია, გასაკვირველია!

მაგრამ არც ისე გასაკვირველია, რო-
გორც ერთის შეხედვით მოჩვენება კაცს:
მე მყავდა გიმნაზიაში ერთი ამხანაგი,
რომელსაც ისე უყვარდა ბაასი, რომ
ამისაგან ყველა ამხანაგებს საქმე გაჭი-
რებული გვექონდა. მის რასმე უბრალოს
აიჩენდა და მოჰყებოდა, ბატონო, და-

შეიძლება ამოუჩინდეს იმას ქალაქის ნამ-
დილო საჭიროების წინააღმდეგე ჩვენ
ამაშიაც დარწმუნებული ვართ, თუ ის
ფხას გამოიჩენს, გარემოება... ამ ქამად
უფრო იმისკენ არის, ვიდრე როდისმე
ყოფილა ვისმესკენ.

მა ერთი წალიწადი ამ უკანასკნელ
ღირსების მიხედვით იმის საცდელი წე-
ლიწადია. თუ ამ ერთს წელიწადს ის
გვიჩვენებს უმთავრეს თვისებას, რომე-
ლიც ქალაქის თავს უნდა ჰქონდეს—გამ-
ბედაობას და თავიანობას—მაშინ მომა-
ვალი ოთხი წელიწადიც მისია, თუ არა
და, ნურას უკაცრავათ, მაშინ ჩვენც
უფრო ენერგიის და ფხის მექონე კა-
ცის ძებნას შეუდგებით.

იყო დრო, როდესაც საცოდავი მდგო-
მარეობა იყო ჩვენს ქვეყანაში, რომ რო-
მელიმე საზოგადოების წარმომადგენელი
თავის საზოგადოების გარს შემოხვევით
მხოლოდ იმას ხდიდა თავის მოვალე-
ობათ თავის საზოგადოების და აღმოჩ-
ჩველების თვალ წინ, თუ რომელიმე
თავადის შეილოს, ან ახანაურის შეილის
გულისთვის უნადლესს მთავრობათან
მოწიწებით დაჰყეფდა წყალობის თხოვ-
ნას: ან ჩინის, ან პენციის გადმოგდე-
ბას; ან თუ არა და ვინმე ახანაურთა-
განი, ან თავადთაგანი ბრალდებული
რომელსამე მძიმე დანაშაულობაში ჩა-
ვარდებოდა საპრობილეში, გადუწყვეტ-
დნენ ღირსების ახდას და შორს გადა-
სახლებას. ჩვენი საზოგადოება თავის
წარმომადგენლის წინ გაძლოით დაი-
ჩარჩებოდა დიდი და მძიმე თხოვნით
უმაღლესს მთავრობის წინაშე,—რა?
მოწიწებით გთხოვთ, ეს ჩვენი კაცი,
თუშცა ავახაკია, მაგრამ მაინც გვაპატი-
ვეო და ნუ გადასახლებო.


რა უნდა ეფიქრა ჩვენს უმაღლესს
მთავრობას იმისთანა საზოგადოებაზე და

უწყნარებელად ტიტინს, ყბელობას, ენის
გაპრტყელებას, და აღარ ჰქონდა იმის
სიტყვას დასასრული, სანამ თავს არ მო-
ვარიდებდით, არ მოვეშორდებოდით.
რამდენჯერ დაუმტკიცებდით, რომ ის
სცდებოდა, რომ „უპრაგონოთ“ არახუ-
ნებდა, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა
და ერთს რომ გაათავებდა, ახლა სულ
სხვაზე მოჰყეებოდა ისევე ამავე დაუბო-
ლოვევლ ბაასს. რატომ სჩადიოდა ამას?
იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, თუ
მე ეთქვი უკანასკნელი სიტყვა და ჩემს
მოწინააღმდეგეს პირი მივაბრუნებინე,
მაშინ გამარჯვებული მე დავრჩებო!

სწორეთ ამ ქაბუკ გიმნაზიელს მომა-
გონებს ხოლმე უფ. ნიკოლაძის პოლე-
მიკა. მლონდ მე დამჩინსო უკანასკნელი
სიტყვა და იმას არ დასდევს—თუ რო-
გორი იქნება ეს სიტყვა, რამდენი სიმარ-
თლე და ჰაზრი იქნება ამ სიტყვაში...

მის ვინატრეთ ამ სახანაწლოთ:
ღმერთმა გვაშოროს მომავალი წლის
განმავლობაში მაინც უფ. ნიკოლაძეს-
თან უმნიშვნელო და უსარგებლო ლა-
პარაკს...

სოლოლაკელი



იმის წარმომადგენელზე, რომელიც კერძო კაცისთვის ჩინებს ითხოვდა, ავაზაკი წვერებისათვის პატივებას და მფანტველ-მხარჯველ თავად-აზნაურობის გულისთვის პრიკაზის ფულის ჩუქებას?

მე არ ვიცი მაღალ მთავრობას რა უნდა ეფიქრნა, მაგრამ ჩემთვის რომ ჩემს გლეხებს ამისთანა თხოვნები და საზოგადო ინტერესები განეცხადებინა, მე ვიფიქრებდი, რომ ეს ჩემი გლეხები მათხოვრები, ზნე დაცემულები და ავაზაკების მფარველები ყოფილან-მეთქი; შევსწუხდებოდი დიდათ ამისთანა გარემოებაზე; მაგრამ ყოველ ნაირი იმათი პატივისცემა დამეკარგებოდა.

იმავე დროს, როდესაც ჩვენი საზოგადოება და იმის წარმომადგენელი კერძო პირების გულისთვის დარღობებდა, ძალიან სამძირო და ჩვენი საზოგადოების მანვე განკარგულება შემოჰქონდათ სხვა და სხვა საზოგადო საერო დაწესებულებაში, მაგრამ ამის თვალ ყურის დევნება არც ჩვენს პირველ ამორჩეულ კაცებს შესძლებია; არამც თუ არ შესძლებია, არც კი ჰქონიათ იმის გაგება, თუ ამა და ამ გადაწყვეტილებას რა მანერვლი ბოლო შეუდგება ჩვენს ცხოვრებაში.

მაგალითათ, იყო დრო, როდესაც ჩვენი ახალ გაზღობა, რუსული ენის ყოველად უმეცარი, იზღებოდა ამ ენაზე მიწა-წყინებში გონების გამამდიდრებელი სწავლა-მეცნიერება ჩვენს შვილებს ეძლეოდა ისეთს ენაზე, რომელიც ჩვენს ახალ გაზღობას არ ესმოდა და თუ უნდოდა ესწავლა, უნდა ეზებირნა, გონება, ტვინი და მოსაზრება უაზრო ზეპირობით დაეჩლიუნებინათ, უხდა დაეჯუჯავებინა. მორიწილი ჩვენი ახალ გაზღობისა ზეპირობასაც ვერ სძლებდენ, პირველსა და მეორე კლასშივე სტოვებდენ სასწავლებლებსა, რჩებოდენ ყოველად გაუწათლებელი. ან ვინც რჩებოდა კლასებში, იმათ აღრე და გვიან, იქიდან აგდებდენ ზარმაცობისა და უტვინობისათვის.

ამ სახით საზოგადოებას ეკარგებოდა და დღემდინაც ეკარგება მომეტებული ნაწილი თავის ახალ გაზღობისა გაუხათლებლათ, საქვეყნო მოთხოვნილება, სწავლა-განათლების საშუალებით ცხოვრების საშუალების ძიება თანდათან დიდდება.

მრავალი ხალხი მოდის დღითი-დღე ჩვენში თავიანთ ენაზე განათლებულები და ამისთვის ჩვენზე უფრო დახელოვნებულები ყოველს გვარს საქმეში და ცდილობენ ჩვენს ქვეყნის სიმდიდრის და ყოველგვარ უფრო სარგებლიან საქმეების ხელში ჩაგდებას; ჩვენკი უკან ვართ დაყენებული, დიდა თუკან ვართ, იმიტომ რომ ჩვენი შესაფერო სწავლა-განათლება არა გვაქვს, ჩვენ არა გვაქვს პირველ დაწყებითი განათლება ჩვენს ენაზე, ჩვენს შკოლებში, ასე გაშინჯე, დიდი ხანია ჩვენი ენის სწავლებაც მოისპო, იმის ყურადღებას არავინ აქცევს.

აბა თუ უფიქრია რომელსამე ჩვენს საზოგადოების წარმომადგენელსა, ჩვენს ბრწყინვალე გუბერნსკის მარშლებს, ჩვენს

ქალაქის მოთავეებს და სხვ. ამ საგანზე ყურადღების მიქცევა! აბა, თუ აღუძრავთ თავის საზოგადოებაში იმათ რომელსამე ამ საგანზე კითხვა და წინ წაძლოლიან თავიანთს საზოგადოებას მთავრობის წინაშე, რომ მთავრობას განუცხადონ, მოახსენონ თავის ყმაწვილების შეუფერებელი სწავლება და სთხოვონ შკოლებში განაძლიერონ ქართული ენის სწავლება, გერმანიების პირველს სამს კლასში ქართულ ენაზე ეძლეოდეს სწავლა რუსულის უცოდინარს ყმაწვილებსა, სანაძდის თვითონ რუსულს ენას არ შეისწავლიდეს, რომ მერე ჩვენი მოსწავლენი ფრთებ შესხმით შეუდგენ რუსულს ენაზე სწავლა-განათლების მიღებას და ამდენი ყმაწვილი მდიდარ ჭკუანი და მდიდარ გონებიანი ეხალგაზღობა ტყულა უბრალოთ არ გვეკარგებოდეს. აბა, თუ მოსვლია რომელსამე ჩვენს პირველ მოთავე კაცს, მთავრობას შესთხოვოს, რომ სოფლის ხალხისათვის სასამართლოებში საქმის გარჩევა ქართულად იყოს, რომ სოფლის ხალხი გაიძვერება ადვოკატება არ გაატყაოს და სამართალი უფრო მტკიცე და ქვეყნის სანდო შეიქნეს?

არც ერთს ამ საზოგადო კითხვებზე ჩვენი პირველი კაცები, ერთხმით საზოგადოებისაგან არჩეულები, ყურადღებას არ აქცევდნენ.

დრო გამოიცვალა. საზოგადოება გამოფხიზლდა. ჩვენ ახლა ისეთი მოთავე ვეღარ გავაკვირებვს, რომელმაც ან წესიერათ პროტოკოლების შედგენა იცის, ან სქელი ჯინჯილები აყრია მხრებზე. ჩვენ ვეძებთ მხნე, გამბედავს კაცს, რომ ამასთანავე საზოგადოების საჭიროება ნამდვილათ ესმოდეს და ამ საჭიროების გულისათვის იბრძოდეს, ვისთანაც გინდა იყოს.

ჩვენ დიდი იმედი გვაქვს ჩვენი ახალი თავის და ენახოთ, რამდენათ დაიმსახურებს ის ქალაქის მუთაისის გულ-დანლობას.

მ. წერეთელი.

დღიური

* * ბათუმიდამ გეწერენ, რომ აქედ მხრის სამაზრო დიდ სოფლებში არსად არც ექიმი და არც უბრალო ფერშალი არ მოიპოვება და ამის გამო ხალხი ძალიან გაჭირებული არისო.

* * ჩვენ მივიღეთ მუთაისიდან შემდეგი შენიშნვა:

ჩვენი სატუსალოს ფეხის-ადგილებს ორ წელიწადზე მეტია, რაც რემონტი არ ღირსებია. სატუსალოს უიმისთაც დახშულ ჰაერს ფეხის-ადგილების სუნი უფრო ახდენს და ეს არის იმის მიზეზი, რომ ციხეში ტუსალები მძიმე ავათ ხდებიან: აქ ჩნდება სხვა-და-სხვა გვარი საოფლე ავათმყოფობა. მეთიკირის გაღავანს გარეთ, აღმოსავლეთისაკენ, გენის ტბაა გაჩენილი, — მიზეზი, რასაკვირველია, ფეხის-ადგილები, და როცა აღმოსავლეთის ქარი ატყდება, ამ გენის ტბის აყროლებულ სუნს ციხეში გზავნის.

* * მუთაისიდან გეწერენ, რომ პოლიციმეისტროს განკარგულად ამ ქალაქში სუნი-ცხენი ახალ სოფლიდამაო, სულ ყველას იქეთ ორ კვირას ჩასმენ ხოლმე და მერე თავიანთ უეზდში მართობ სასტიკი დასჯა არ ტო უბილეთობისთვის?!

* * ზაქათალიდამ მოგვიყიდა რომ იქაური ჩარჩი მჯიღეები ფაცა-ფუტში არიან უფ. ბოლდუ სა და სერაფიმოვიჩის წინაა კვირა ისე არ გაივლისო, რ საჩივარი მაინც არ გაგზავნო სომხებმა ამათზედაო. ეს დიდი ფილება ზაქათალის მაზრის თავის მაზრის უფროსზე უფ. მოვიჩზე და ძახის უჩასტკის უფ. ბოლუსლავსკიზე, წარმოსდ საგან, რომ ეს ორი პატიოსანი სტრატორები რაც შეიძლება ადგილობრივ გლეხებს სომხებ ცველობისაგან, ესენი ავიწრო სომხების თავისუფლებას!..

* * მლისავეტპოლის გუბერნ უჩივიან; ამბობენ, მთელს გუ ორი ხეირიანი მოსსეს გზა არ ვანილიო; განსაკუთრებით ს გზები ისეთს მდგომარეობაში როგორც ალა-მაჰმად-ხანის დრო

მაგიერად ძალიან ემადლიერ ზოგადოთ იქაურ ადმინისტრატორნიკებს, რომელნიც ისე გ და ისეთის თაონობით ეპყრობ საო, რომ იმ უეზდებში, სად მულამ დღე თითქმის ავაზაკობ ცის-კვლა იყო, ახლა სრულიად რად შეიძლება მოგზაურობაო.

მუთაისის სამოქალაქო თავის ამორჩევა

იყო შუადღე. — მუთაისის სამამეგობის ზალა საესე იყო სნებითა და თუ მაყურებელს ნიკოლაძე მოსულყო ქალაქი კლი ლორთქიფანიძე ჩამოსულ ფლიდგან; პავლე თუმანიშვილი სამივე ლობებრიძეებიც იქ იყ. ამათი დამნახველი აქაურ ს ქო კრებაში ეფიქრებდა, რომ დიდი ბაასი გაიმაროებოდა რაი ზე შესახებ ქალაქის თავის აღმოსხდომა დაიწყო. ბლასნებს წინადადება, რომ მათ დაენიშ დიდატები ბილეთებითა ქალაქ აღმოსარჩევლად.

37 ბილეთი ამოუვიდა უფ. რომელიც ირიცხება გლასნებთ 10 ბილეთი ამოუვიდა თვით ნ შიძეს, რომელიც ასრულებდა ქალაქის თავის თანამდებობასა ლეთი ამოუვიდა უ. სპირიდონ რიანს.

ნაკო აბაშიძემ არ ისურვა, თვის კენჭი ეყარათ; არც უ. მამკეარიანის მხრით არ ვინ მთხოვნილი, რომ მას უყარო